

შპს ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი
ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	77034	38403	103677
სავაჭრო მოთხოვნები	159077	147629	136034
გადახდილი ავანსები	0	0	0
მარაგები	17824	16633	13225
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	17824	16633	13225
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	6238	6238	6238
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	2321205	2386440	679073
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2581378	2595343	938247
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	7406	9554	4788
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	97452	112007	70766
საგადასახადო ვალდებულებები	17354	20618	25484
გამომუშავებული შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	46570	64286	135000
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	85204	0	65021
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	253986	206465	301059
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	52955	52955	52955
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	430661	493347	475368
გადაფასების რეზერვი	1843776	1842576	108865
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	2327392	2388878	637188
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2581378	2595343	938247

შპს ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი
საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	2019 წელი	2018 წელი
ნეტო ამონაგები	1110731	1105235
საქონლის გაყიდვიდან	1106802	1104132
მომსახურების გაწვიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	3929	1103
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	0	0
საწყისი მარაგები	-16633	-13225
მარაგების შესყიდვა	-271558	-247195
გადამუშავების დანახარჯები	270367	243787
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	1110731	1105235
სხვა შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-795617	-860116
ცვეთა და ამორტიზაცია	-89654	-57005
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-15437	-13441
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-229365	-116694
სულ საოპერაციო ხარჯები	-1130073	-1047256
საოპერაციო მოგება	-19342	57979
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	0	0
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-19342	57979
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	-19342	57979
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	1200	1733711
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	1200	1733711
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-18142	1791690
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2388878	637188
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-43344	-40000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2327392	2388878

შპს ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი
ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	2019 წელი	2018 წელი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	103087	3273
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-21112	-28547
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-43344	-40000
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	38631	-65274
სავალუტო კურსის ეფექტი	0	0
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	38403	103677
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	77034	38403

შპს „ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2019 წელი

ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ რეგისტრირებულია ქუთაისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2008 წლის 25 მარტს (გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 212913276). კომპანიის მისამართი: ქალაქი ქუთაისი, ტ. ტაბიძის ქ. #23. შპს-ს დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის გიორგი მიმინოშვილი.

შპს „ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ საქმიანობის პროფილი არის პირველადი ამბულატორიული სამედიცინო მომსახურების გაწევა.

წინამდებარე ანგარიშგება წარმოადგენს მხოლოდ ერთი საწარმოს - შპს „ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ ფინანსურ ანგარიშგებას.

საანგარიშგებო პერიოდი არის კალენდარული წელი, რომელიც დაიწყო 2019 წლის 1 იანვარს და დამთავრდა 2019 წლის 31 დეკემბერს.

შპს „ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს, მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კომპანიის ფუნქციონალურ და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი. შესაბამისად, მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარებში;

ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ შპს „ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“ უწყვეტად განაგრძობს საქმიანობას: პარტნიორი და ხელმძღვანელი არ გეგმავს მის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეწყვეტას და არ არსებობს გარემოებები, რომლებიც აიძულებს მას ამის გაკეთებას.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი დებულებები

- აქტივების და ვალდებულებების აღრიცხვისათვის გამოყენებულია დარიცხვის მეთოდი - ოპერაციების შედეგები და სხვა მოვლენები აღიარდება მათი წარმოშობისას/მოხდენისას (და არა ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების მიღების ან გადახდისას) და აისახება იმ პერიოდის სააღრიცხვო ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშებში, როდესაც მათ ჰქონდათ ადგილი;
- წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე;
- კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ნარჩენი ღირებულებით - თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის თანხის გამოკლებით; ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი დარიცხვის (თანაბარზომიერი ჩამოწერის) მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება მენეჯმენტის შეფასებით, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის ის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას;
- ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავლები, ან სხვა ხარჯები;
- ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები ემატება შესაბამისი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებას, თუ ეს ხარჯი უზრუნველყოფს მისგან მისაღები მომავალი ეკონომიკური სარგებლის გაზრდას და შესაძლებელია მისი საიმედო შეფასება. ძირითადი საშუალების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები, რომლებიც მიზნად ისახავს მისგან დაგეგმილი ეკონომიკური სარგებლის მიღებას, გაწევისთანავე აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, როგორც ხარჯი;
- გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების ზრდა აისახება გადაფასების რეზერვში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების ზარალს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. გადაფასების შედეგად ძირითადი საშუალებების ღირებულების შემცირება აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის აკომპენსირებს წინა პერიოდში გადაფასების რეზერვს. ამ შემთხვევაში ის აღიარდება პირდაპირ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;
- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო ხარჯვისას მათი შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით;
- თანამშრომელთა ხელფასები და სხვა ანაზღაურება - მოიცავს თანამშრომელთა ხელფასებს, საშვებულებო ანაზღაურებას და დახმარებას დროებითი

შრომისუნარობის გამო. გასაცემი ხელფასის ნაშთის არსებობა გამოწვეულია შესაბამისი დარიცხული შემოსავლების მიღების დაგვიანებით;

- კომპანიის დებიტორული დავალიანებების ძირითადი ნაწილი წარმოქმნილია მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ღირებულების მიღების დაგვიანებით;
- კომპანიის კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენენ მიმდინარე ვალდებულებებს, რომლებიც, როგორც წესი, იფარება მომდევნო საანგარიშო პერიოდში;
- სესხებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა ის წარმოიქმნება. კომპანიას აქვს გრძელვადიანი სესხი, რომლის დაუფარავი ნაშთი საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის სრულად წარმოადგენს მის მიმდინარე ნაწილს;
- საკუროსო სხვაობა, რომელიც მიიღება უცხოური ვალუტის გამოყენებით ოპერაციების განხორციელებისას, აღიარდება შემოსავლის ან ხარჯის სახით სრული შემოსავლების ანგარიშგებაში;
- კაპიტალი წარმოადგენს სხვაობას აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებებს შორის, მოიცავს დამფუძნებლის შენატანებს და ამ შენატანების ნაზარდს, რომელიც წარმოიქმნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობის შედეგად და რჩება კომპანიას საოპერაციო საქმიანობისათვის დამფუძნებლისათვის დივიდენდების გადახდის შემდეგ;
- საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული იქნა დივიდენდი 43344 ლარის ოდენობით;
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად და საბანკო ნაშთებს;
- აქტივების თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს;
- კომპანიის მიერ გადასახადების დარიცხვისას და გადახდისას, გათვალისწინებულია ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები;

შპს „ქუთაისის #1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი



/გ. მიმინოშვილი/